

**1. შემდეგი განსაზღვრებებიდან რომელი განსაზღვრებაა სწორი?**

- ა) სისტემის შინაგანი ენერჯის ცვლილება განისაზღვრება მხოლოდ გადაცემული სითბოს რაოდენობითა.
- ბ) სისტემის შინაგანი ენერჯის ცვლილება გადაცემული სითბოსა და შესრულებული მუშაობის ჯამის ტოლია.
- გ) სისტემის შინაგანი ენერჯის ცვლილება არ არის დამოკიდებული მის მიერ შესრულებულ მუშაობაზე
- დ) სისტემის საერთო ენერჯის ცვლილება გადაცემული სითბოსა და შესრულებული მუშაობის სხვაობის ტოლია.

**2. ზგერა აირში ვრცელდება:**

- ა) გრძივი ტალღის სახით; რხევას განიცდის აირის მოლეკულები, აგრეთვე აირის წნევის, ან სიმკრივის მაჩვენებლები
- ბ) განივი ტალღის სახით; რხევას განიცდის აირის მოლეკულები, აგრეთვე აირის წნევის, ან სიმკრივის მაჩვენებლები
- გ) არ ვრცელდება
- დ) განივი ტალღის სახით; რხევას განიცდის აირის მოლეკულები, აირის წნევის და სიმკრივის მაჩვენებლები არ იცვლება

**3. როგორია ინფრაბგერის გარემოში გავრცელების უნარი?**

- ა) ძალიან მცირეა გარემოში მისი ძლიერი შთანთქმის გამო.
- ბ) ძალიან დიდია მისი ტალღის დიდი სიგრძის და დიფრაქციის მაღალი უნარის გამო.
- გ) ძალიან მცირეა მისი ტალღის ინტერფერენციის უნარის გამო.
- დ) ძალიან დიდია მისი ტალღის დიდი სიგრძის და დიფრაქციის დაბალი უნარის გამო.

**4. როდის მიიზიდავს ორი სხეული ერთმანეთს?**

- ა) როდესაც ორივე დამუხტულია უარყოფითად.
- ბ) როდესაც ერთი დამუხტულია დადებითად, მეორე კი უარყოფითად.
- გ) როდესაც ორივე დამუხტულია დადებითად.
- დ) ახლო მანძილზე ნებისმიერი მუხტის მქონე სხეულები იზიდავენ ერთმანეთს

**5. რისთვის გამოიყენება მარჯვენა ხელის წესი (ზურღის წესი)?**

- ა) მაგნიტური ველის ინდუქციის ვექტორის რიცხობრივი მნიშვნელობის დასადგენად

- ბ) მაგნიტური ველის ინდუქციის ვექტორის მიმართულების დასადგენად მხოლოდ წრფივი დენიანი გამტარის შემთხვევაში
- გ) იმ ძალის მიმართულების დასადგენად, რომლითაც გარეშე ველი მოქმედებს წრიული ფორმის დენიან გამტარზე
- დ) მაგნიტური ველის ინდუქციის ვექტორის მიმართულების დასადგენად, როგორც წრფივი დენიანი გამტარის შემთხვევაში, ასევე წრიული დენის შემთხვევაში

#### **6. როგორ ველს ეწოდება გრიგალური?**

- ა) ველს, რომლის ძალწირები ქაოსურად განლაგებული წირებია, გრიგალური ველი ეწოდება.
- ბ) ველს, რომლის ძალწირები ურთიერთმართობული წირებია, გრიგალური ველი ეწოდება.
- გ) ველს, რომლის ძალწირები პარალელური წირებია, გრიგალური ველი ეწოდება.
- დ) ველს, რომლის ძალწირები შეკრული წირებია, გრიგალური ველი ეწოდება.

#### **7. რა დადასტურდა ფოტოელექტრული ეფექტის შედეგების ახსნისას?**

- ა) ელექტრომაგნიტური გამოსხივების ტალღური ბუნება
- ბ) ელექტრომაგნიტური ენერგია არა მხოლოდ პორციებად (კვანტი, ფოტონი) გამოსხივდება და შთაინთქმება, არამედ ინარჩუნებს ამ ფორმას გავრცელების დროსაც
- გ) ფოტონის ენერგია არ არის დამოკიდებული გამოსხივების სიხშირეზე
- დ) გამოსხივების ამპლიტუდის ზრდა იწვევს ფოტონების ენერგიის ზრდას